2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების კენჭისყრის

დღის შეფასება

ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) და ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (IDMC) 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დღეს აფასებს.

ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის **შეფასებით** 2021 წლის 2 ოქტომბრის **არჩევნები უსაფრთხო, გამჭვირვალე, თავისუფალ და ძირითადად მშვიდ გარემოში საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით ჩატარდა.**

ICDI და IDMC ერთობლივი სადამკვირვებლო მისიამ 13 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით მონიტორინგი განახორციელა **12 საარჩევნო ოლქის** (ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ჩუღურეთი, გლდანი, ყვარელი, გარდაბანი, თეთრიწყარო, გორი, ქარელი, ახალციხე და ადიგენი) **107 საარჩევნო უბანზე.**

კენჭისყრის დღის ძირითადი მიგნებები:

- საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დროს, 07:00 სთ-ზე გაიხსნა, გარდა 1 შემთხვევისა, როდესაც უბნების გახსნის პროცესი დაგვიანდა 5 წთ-ით.
- საარჩევნო უბნების გახსნისათვის კომისიის წევრთა მაქსიმალური წარმომადგენლობა იყო, ძირითადად, 13-17 წევრი.
- საარჩვენო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები თანმიმდევრულად და საარჩევნო რეგულაციების დაცვით განხორციელდა.
- დილის 07:00სთ-დან 08:00სთ-მდე პერიოდში წილისყრით ფუნქციებით განაწილებისას დაფიქსირდა ტენდენციური მიდგომა, როცა გადასატანი ყუთის წამღები პირის გამოვლენის წილისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „ევროპული საქართველოს“, „გირჩი“, „მესამე ძალის“, „ლელოსა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა წევრებმა, ასევე, დაფიქსირდა 1 შემთხვევა, N38 ადიგენის საოლქო სააჩევნო კომისიის მე-4 უბანზე, როცა რეგისტრატორის ფუნქციის მინიჭების წილისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა უბნის ერთ-ერთმა წევრმა *(აღსანიშნავია, რომ საარჩევნო რეფორმის შედეგად, რეგისტრატორთა შერჩევა ხდება საოლქო საარჩვენო კომისიის მიერ არჩეული პირებისგან).*
- 08:00სთ-თვის საარჩევნო უბნები მზად იყო ამომრჩევლების მისაღებად.
- თბილისის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებს შეცვლილი ფორმის კაბინები დახვდათ.

- N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის შემავალ უბნებზე ხმის მიცემა და დათვლის პროცესი ახალი ტექნოლოგიების, ხმის მიცემის ელექტრონული აპარატების მეშვეობით წარიმართა, თუმცა 2 უბანზე, N32 და N18 უბნებზე დაფიქსირდა ხმის მიცემის ელექტრონული აპარატების (ჯამში - 3 აპარატის) ტექნიკური შეფერხება, რომელთა ჩანაცვლება მოხდა საარჩევნო ყუთებით.
- ზოგიერთ უბანზე კენჭისყრის შენობა/ოთახი იყო ძალიან ვიწრო საუბნო საარჩვენო კომისიის წევრთა, დამკვირვებლებისა და საარჩვენო სუბიექტების წარმომადგენელთა რაოდენობის გათვალისწინებით.
- არჩევნების დღეს დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კენჭისყრის შენობები აღჭურვილი იყო COVID-19 გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი ინვენტარით, თუმცა მცირე რაოდენობის უბანზე დაფიქსირდა თერმოსკრინინგის ტექნიკური გაუმართაობა, მაგალითად, N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის მე-2 უბანზე, N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის მე-40 და მე-14 უბნებზე.
- მცირე რაოდენობის უბანზე (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის N53 და N13 უბნებზე) ნაკადის მომწესრიგებლებს უჭირდათ ამომრჩეველთა ნაკადის მართვა ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის გამო, ასევე, იყო 2 შემთხვევა, როცა ნაკადის მომწესრიგებელმა ამომრჩეველს არ მოსთხოვა პირბადის დროებით ჩამოხსნა იდენტიფიცირების მიზნით.
- დაფიქსირდა 1 შემთხვევა, N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 24-ე უბანზე, როცა განახლებული ამომრჩეველთა ერთიანი სია არ იყო თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული, თუმცა ხარვეზის აღმოჩენის შემდეგ დროულად გამოსწორდა აღნიშნული გარემოება.
- დაფიქსირდა 9 შემთხვევა, N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის 1-ლ და მე-2, N33 ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის მე-3, N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 44-ე და N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 46-ე უბნებზე, როცა რეგისტრატორმა/ რეგისტრატორებმა ორი ერთი და იმავე სახის ბიულეტენი გადააყოლა, რომლის თაობაზეც მისი/მათი მხრიდან დაიწერა ახსნა-განმარტება/ახსნა-განმარტებები.
- დაფიქსირდა 1 შემთხვევა, N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის მე-4 უბანზე, როცა პროცედურული თანმიმდევრულობა არ იყო დაცული, კერძოდ, რეგისტრატორმა ამომრჩეველს ჯერ მარკირება ჩაუტარა და ხოლო შემდგომ გადაამოწმა მისი მონაცემები ამომრჩეველთა ერთიან სიაში.
- დაფიქსირდა 2 შემთხვევა, როცა ამომრჩეველმა კენჭისყრის კაბინაში შევსებული ბიულეტენი დატოვა, N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 68-ე უბანზე.

- დაფიქსირდა 1 შემთხვევა, N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის 27-ე უბანზე, როცა ამომრჩეველმა კაბინის გარეთ შეავსო საარჩევნო ბიულეტენები.
- დაფიქსირდა 1 შემთხვევა, როცა ამომრჩეველი აგიტაციის გაწევის მიზნით, პირბადეზე საარჩვენო სუბიექტის, პოლიტიკური პარტიის აღმნიშვნელი სიმბოლოთი გამოცხადდა უბანზე.
- ჩვენი დამკვირვებლები საარჩევნო რეგულაციების შესაბამისად კენჭისყრის შენობებში შეუფერხებლად ახორციელებდნენ ფოტოვიდეოგადაღებას.
- კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა ადგილობრივი დამკვირვებელისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის 1 ფაქტი, N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 90-ე უბანზე.
- კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა.
- კენჭისყრის პროცესის დასრულებისათვის გადასატანი ყუთები დაბრუნებული იყო საარჩვენო უბნებზე.
- საარჩევნო უბნის დახურვიდან ხმის დათვლის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელი ღონისძიებები საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით განხორციელდა.
- ხმის დათვლის პროცესი საარჩევნო რეგულაციების დაცვით მშვიდად, გამჭვირვალე და თავისუფალ გარემოში წარიმართა.
- ხმის დათვლა აუდიო-ვიდეოფიქსაციის წესით ჩატარდა იმ უბნებზე, სადაც 300-ზე მეტი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. აღსანიშნავნია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი იყვნენ ხმის დათვლის პროცესის ფიქსაცია უზრუნველყოთ საარჩევნო ყუთის/ყუთების გახსნის მომენტიდან საარჩევნო ბიულეტენების დასტების დალუქვის მომენტის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა ვიდეოფიქსაციის კამერის გაუმართაობა, რაც გამოწვეული იყო არა ტექნიკური თვალსაზრისით, არამედ პასუხისმგებელმა კომისიის წევრებმა ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული კამერის/კამერების გააქტიურება, ასევე, მცირე რაოდენობის უბანზე ვიდეოების გადაღების პროცესი არ დასრულებულა დადგენილებით (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს N55/2021 დადგენილება) განსაზღვრულ დროს, რადგან კომისიის წევრებმა გაფრთხილების მიუხედავად სათანადო დროს ვერ გამორთეს აღნიშნული კამერები.
- საარჩევნო უბნებზე ხმის დათვლის პროცესის ხანგრძლივობა გაზარდა აუდიო-ვიდეოფიქსაციის წესის, სამი განსხვავებული სახის ბიულეტენისა და ბიულეტენებში საარჩევნო სუბიექტთა სიმრავლის არსებობამ.

- კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა დეზინფორმაციის გავრცელებისა და მედიის წარმომადგენლების მიერ საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის შესაძლო ხელის შეშლის ფაქტი.
- ამომრჩეველთა უფლებაა არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე მიიღოს გადამოწმებული და დაზუსტებული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე გონივრულ ვადაში, კენჭისყრის დღის მეორე დღეს, გამოაცხადა არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული წინასწარი მონაცემები.

ერთობლივი სადამკვირვებლო მისია აგრძელებს შემაჯამებელი ოქმებისა და არჩევნების შემდგომ პროცესების მონიტორინგს.

ICDI

IDMC